განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტისათვის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ინგა ბოჭოიძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, 2020 წლის 31 ივლისის MES 0 20 0000651641 ბრძანების შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის 10 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

- გოჩა თუთბერიძე (თავჯდომარე)
- ინგა ბოჭოიძე (წევრი)
- ქეთევან კანკავა (წევრი)

ვიზიტის მიზანი მდგომარეობდა შეფასების განხორციელება აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში დამატებისათვის

ვიზიტი შედგა 2020 წლის 10 აგვისტოს მისამართზე თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. N9-ში.

ვიზიტამდე 7 აგვისტოს, შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (გოჩა თუთბერიძე, ინგა ბოჭოიძე, ქეთევან კანკავა) ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი საგანამანათლებლო პროგრმა, სილაბუსები და თანდართული დოკუმენტაცია. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 10 აგვისტოს 10:00 საათიდან, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან და პარტნიორთა კრების წარმომადგენლებთან), ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების, სასწავლო პროცესის მართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მოწოდება ინსტიტუციამ უზრუნველყო გარდა გარე კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებისა (დაწესებულებამ წარმოგვიდგინა ხელშეკრულება, მაგრამ ის არ იყო სათანადოდ გაფორმებული), დროულად და სრულად უზრუნველყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგნამანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის ყველა იმ სტანდარტთან მიმართებით, რომლებიც შემხებლობაში არიან ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებასთან. კერძოდ, I (1.1 და 1.2), II (2.2, 2.3); III (3.1, 3.2 და 3.3), IV (4.1 და 4.2), V (5.1 და 5.2), VI (6.1, 6.2, 6.3) და VII (7.1, 7.2, 7.3 და 7.4) სტანდარტებთან მიართებაში. ინსტიტუცია არ შეფასებულა 2.1 სტანდარტის კომპონენტთან (ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა) მიმართებით, რადგან ჩაითვალა, რომ ის უშუალოდ არ არის დაკავშირებული ცალკეული სგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან.

შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, შეუძლია განახორციელოს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები

- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს მისიას, ხედვას, მიზნებს და მოიყვანოს ის შესაბამისობაში საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან;
- უნივერსიტეტის და წარმოდგენილი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის რეალური მდგომარეობის სწორი SWOT ანალიზი. ანალიზის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის გადამუშავება, სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების და კრიტერიუმების გადახედვა, შესაბამისი ფინანსური რესურსის სწორად განაწილება და შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;
- უნდა გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ფუნქციები და მოვალეობები;

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ სტუდენტთა ეთიკის კოდექსში დააკონკრეტოს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული დისციპლინური გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები;
- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესში მონაწილე ერთეულების „ინიცირების ჯგუფი“, „სამუშაო ჯგუფი“ ფუნქციები და მოვალეობები გაიწეროს და გაკეთდეს შესაბამისი სამუშაო აღწერილობები;
- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფდეს, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის, პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში (4 სემესტრი) მეშვიდე დონის სწავლის შდეგების მიღწევას;
- მიზანშეწონილია დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის შესახებ;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები განათლების მეშვიდე საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შედეგებში გამოკვეთოს კომპლექსური და არაპროგნოზირებადი გარემოს მულტიდისციპლინური მიდგომით მართვის და ინოვაციების განვითარებისათვის საფუძვლის შექმნის ელემენტები;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, რათა მათი გაზომვადობა მეტად უზრუნველყოფილი იყოს;
- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს ლიდერობის, მარკეტინგის მენეჯმენტის, მენეჯერული კვლევის მეთოდების სასწავლო კურსების სწავლება;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სწავლის შედგების შეფასების რუკა ისე, რომ ნათელი იყოს კონკრეტული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან;
- მიზანშეწონილია სწავლების ფორმები და მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სასურველია გადაიხედოს პროგრამაში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსი და ნათლად ჩამოყალიბდეს მასში კონკრეტულად თუ რა ტიპის პრაქტიკას გადის სტუდენტი;
- მიზანშეწონილია მოხდეს კონკურსის ჩატარების წესის სრულყოფა და ნათლად გაიწეროს პროცედურები;
- კონკურსის შდეგების გასაჯაროებისას დაწესებულებამ დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

- საგანამანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, აკადემიური კონკურსის გამოცხადება და კონტინგენტის გაზრდა;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაზე გამოყოფილი საათები უნდა გაიწეროს კონკრეტული აქტივობების მიხედვით;
- მიზანშეწონილია უცხო ენის ცოდნის მოთხოვნები და გამოცდის ფორმატი იყოს გამჭვირვალე, ცხადი და დეტალურად ცნობილი პოტენციური სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- მიზანშეწონილია შეიქმნას სამსახურები, რომლებიც პასუხიმგებელი იქნებიან სტუდენტურ სერვისებზე;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოახდინოს კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმით და კვლევის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ადეკვატური ხარჯების გაწერა ბიუჯეტში;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და სისტემა;
- მიზანშეწონლია მატერიალური რესურსის გაუმჯობესება. კერძოდ, ვინაიდან, ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამით ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა ოპერაციული მენეჯმენტი, პროექტების მართვა, რომელთა სწავლება საჭიროებს კომპიუტერულ უზრუნველყოფას, შესაბამისად, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს კომპიუტერული კლასი, მინიმუმ, 17 კომპიუტერით;
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ ელექტრონული რესურსების გარდა შეიძინოს ბეჭდური ლიტერატურა და ასევე აღჭურვოს კომპიუტერული, ასლგადამღები, საბეჭდი და სხვა ტექნიკური საშუალებებით ბიბლიოთეკა;
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის ბიუჯეტი რომელშიც გაწერილი იქნება: ერთი მხრივ, შემოსავლები და მეორე მხრივ ყველა ხარჯი (სალექციო საათების ანაზღაურება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ანაზღაურება, ადმინისტრაციის, სწავლების პროცესში სტუდენტების მატერიალური მხარდაჭერის, პროგრამის განვითარების, აკრედიტაციის, ინეტრნაციონალიზაციის და ა.შ. გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით).

რჩევები

- სასურველია ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება ადამიანური რესურსების მართვის კურსის სილაბუსში;
- სასურველია გადაიხედოს ჯანდაცვის სამართლებრივი ასპექტების სასწავლო კურსის თემატიკა;
- სასურველია პროფესიული წერის სასწავლო კურსში გათვალისწინებული იქნას პლაგიატის ფორმების შესწავლა და განხილვა;
- სასურველია გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, მაგალითად, 1992 წლის ლიტერატურა პროფილაქტიკური მედიცინის სილაბუსში, 2003 წლის ლიტერატურა ოპერაციული მენეჯმენტის სილაბუსში.

საუკეთესო პრაქტიკები

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გოჩა თუთბერიძე (თავმჯდომარე)
2. ინგა ბოჭოიძე (წევრი)
3. ქეთევან კანკავა (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მისია, რომელიც ასახულია მის სტრატეგიიულ გეგმაში. ამ მისიის მიხედვით დაწესებულება თავის დანიშნულებას ხედავს „მედიცინის და ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერებაზე და კლინიკურ გამოცდილებაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების უზრუნველყოფაში“. დეკლარირებული მისიის, ხედვის და მიზნის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია მედიცინის მიმართულებით უმაღლესი განათლების მიწოდებაზე და მისი სურვილია გახდეს „მედიცინის და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულება“. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილია ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულით -მედიცინის სკოლა.

სასწავლო უნივერსიტეტის მისიის მიხედვით, მკაფიოდაა გამოკვეთილი სასწავლო უნივერსიტეტის როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე როგორც დაწესებულებისა, რომელიც პაუხისმგებელია მედიცინის მიმართულებით კვალიფიციურ კადრების მომზადებაზე, რომლებიც თავის მხრივ, იქნებიან კონკურენტუნარიანები ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე.

სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობას და ეცდება უზრუნველყოს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება ამჟამად არ ანხორციელებს არცერთ საგანამანათლებლო

პროგრამას და არ ჰყავს სტუდენტები, ძნელია ამ განაცხადის შემოწმება. ამასთან, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტი მოწოდებულია, თავისი მატერიალური ბაზით, სათანადო კომპეტენციის აკადემიური პერსონალით და თანამედროვე სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო პროგრამებით გახდეს, ერთერთი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელი მთელს რეგიონში. არსებული მდგომარეობის გაცნობა, მატერიალური რესურსების დათვალიერება, (მედიცინის საგანამანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია ვერ მიიღო) სამწუხაროდ, ვერ ადასტურებს ამ მიზნების რეალურობას. სტრატეგიულ გეგმაში ხაზგასმულია, რომ „უნივერსიტეტი მოწოდებულია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც შემკული იქნებიან როგორც პროფესიული, ისე პიროვნული ღირსებებით და ორიენტირებული იქნებიან მუდმივ განვითარებაზე“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ანიჭებს ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის კვალიფიკაციას ბიზნესის ადმინსიტრირების მიმართულებით (0413), არა აქვს პირდაპირი კავშირი სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან. შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ზემოაღნიშნულ ფუძემდებლურ დოკუმენტებს და მოიყვანოს ის შესაბამისობაში საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვინაიდან დაწესებულება თავის თავს განიხილავს, სასწავლო უნივერსიტეტად, შესაბამისად მისიაში, ხედვაში და მიზანში არ არის გამოკვეთილი კვლევითი პრიორიტეტები, თუმცა სამაგისტრო პროგრამის განხორცილების სურვილი უკვე გულისხმობს თავის თავში კვლევითი კომპონენტის და შესაბამისად კვლევითი პრიორიტეტების გამოკვეთასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სასწავლო უნივერსიტეტის მისია ;და ხედვა სტრატეგიული განვითარების გეგმა; სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eastwest.edu.ge/ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს მისიას, ხედვას, მიზნებს და მოიყვანოს ის შესაბამისობაში საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან.
რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებიც ეფუძნება და ასახავს დაწესებულების მისიას ხედვას და მიზნებს. სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმაში ჩამოყალიბებულია 6 სტარტეგიული მიზანი, მათ შორის მე-5-ე მიზანი წარმოადგენს „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“-ს. მიზნის დეტალურ აღწერაში საუბარია ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაზე, ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებაზე, პროგრამების ინტერნაციონალიზაციაზე, ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე. აქ ნახსენებია ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია და კვლევების შედეგების სასაწავლო პროცესში ინტეგრაცია. თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში არ ჩანს რომელი მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებას გეგმავს უნივერსიტეტი და იგულისხმება თუ არა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამების შემუშავება-განვითარება.

სასწავლო უნივერსიტეტს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, შემუშავებული აქვს კვარტალური სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით, სადაც თითეული სტრატეგიული მიზნის განხორციელება გაწერილია 2019-2021 წლებისათვის. სამწუხაროდ არც აქ ჩანს, რომ დაწესებულება გეგმავს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და აკრედიტაციას. სამწლიან სამოქმედო გეგმაში, პროგრამების განვითარებისათვის, ბიუჯეტით გამოყოფილია 204 813 ლარი, რომელიც წლების მიხედვით

განაწილებულია შემდეგნაირად: 2019 -20 938 ლარი; 2020 – 81 688 ლარი; 2021 წელი 102 188 ლარი. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით 2020 და 2021 წლებში აპირებს დახარჯოს 52 000 ლარი, ხოლო კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციაზე კი 259 040 ლარი. საგანამანათლებლო პროგრამების განვითარების სტრატეგიული მიზნის ჯამური ბიუჯეტი 2019-2021 წლებში შეადგენს 515 852 ლარს. სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმაში არ ჩანს, თუ რა ღონისძიბები იქნება დაფინანსებული და რა თანხით. არ არის გამოკვეთილი აღნიშნული რესურსებიდან რა ღონისძიებებისათვის და რამდენი დაიხარჯება კონკრეტულად „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაზე.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ორიენტირებულია მხოლოდ დიპლომირებული მედიკოსის ქართულ და ინგლისურენოვან საგანმაანთლებლო პროგრამებზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავების დასაბუთებაც, SWOT ანალიზიც მხოლოდ ამ პროგრამის მიხედვით არის გაკეთებული. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიხედვით არ არის ნათელი როგორ ხორციელდება მონიტორინგი და რეაგირების რა მექანიზმები არსებობს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი აქტივობა ვერ განხორციელდა, იმის გამო, რომ უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ ყავს სტუდენტები. მათი განცხადებით, ადსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები გადასამუშავებელია და მასში აუცილებლად აისახება წარმოდგენილი პროგრამის განვითარების საკითხები.
ამ ეტაპზე გაურკვეველია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანი #1-ის განხორციელების შესაძლებლობაც, ვინაიდან უნივერსიტეტს არ აქვს კულტურული, სპორტული და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარების შესაბამისი სივრცე. პროგრამის განმახორიელებელი პერსონალის ძირითადი ნაწილი არ არის ამ უნივერსიტეტთან აფილირებული, შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულება.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურა ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების ერთიან სამსახურს, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მონიტორინგის პროცესს არაეფექტურს გახდის და

ადგილი ექნება ინტერესთა შეუთავსებლობას. სტრატეგიული განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სტრატეგიული გეგმის დაწერას, არამედ სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულების მონიტორინგს, სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლს და რეაგირების ეფექტურ მექანიზმს. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფა ასევე ფუნდამენტური ფუნქციაა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მდგომარეობის შეფასება. შესაბამისად, ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის ერთ სამსახურში მოქცევა გაუმართლებელია.

უნივერსიტეტის და წარმოდგენილი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის რეალური მდგომარეობის სწორი SWOT ანალიზი. ანალიზის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის გადამუშავება, სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების და კრიტერიუმების გადახედვა, შესაბამისი ფინანსური რესურსის სწორად განაწილება და შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სასწავლო უნივერსიტეტის მისია და ხედვა;

სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით;

სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eastwest.edu.ge/

ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

უნივერსიტეტის და წარმოდგენილი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის რეალური მდგომარეობის სწორი SWOT ანალიზი. ანალიზის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის გადამუშავება, სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების და კრიტერიუმების გადახედვა, შესაბამისი ფინანსური რესურსის სწორად განაწილება და შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;

უნდა გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ფუნქციები და მოვალეობები;

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც გულისხმობს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე "(PDCA) ციკლის მიდგომას.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე, ასევე შიდა ხარისხის მექანიზმების უზრუნველყოფაზე. დეპარტამენტი ამჟამად ორი თანამშრომლით არის დაკომპლექტებული და როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, იგეგმება მისი გაძლიერება მას შემდეგ, რაც დაწესებულება მიიღებს სტუდენტებს.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი გულისხმობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევას და ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის მოკლევადიანი გეგმა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, სწავლების მეთოდების ეფექტურობის ანალიზს და სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების, პერსონალის,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე პროცესების, მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დაგეგმვას. გრძელვადიანი გეგმა მოიცავს საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს და მის შესაბამისად, პროგრამების განვითარების და ცვლილებების დაგეგმვას. ვინაიდან დაწესებულებას არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ამ ეტაპზე, ძნელია ვიმსჯელოთ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს ხარისხის უზრუნვლეყოფის შიდა მექანიზმებს და გამოთქვამს ჩართულობის მზადყოფნას მის იმპლემენტაციაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პოტენციური დამსაქმებლები. დაწესებულების დამფუძნებლები ფლობენ ჯანდაცვის ობიექტების ქსელს (კლინიკები, ამბულატორიები, და ა.შ.) და დაინტერესებულები არიან აღნიშნული პროგრამის განხორციელებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსის ორი დოკუმენტი ცალკე სტუდენტებისათვის და ცალკე ინსტიტუციის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი ადგენს სტუდენტებისთვის ქცევის ზოგად წესებს, მათ შესრულებაზე მონიტორინგისა და დარღვევაზე რეაგირების პროცედურებს. განსაზღვრავს სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ნორმების დაცვის მნიშვნელობას. კოდექსი წარმოადგენს, უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულების ნაწილს. სტუდენტთა ეთიკის კოდექსში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის საკითხების რეგულირებას.

სტუდენტური ეთიკის დარღვევისთვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები, რომელთა შორისაა: შენიშვნა, გაფრთხილება და ა.შ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ჩათვლით. თუმცა რაც შეეხება ამ უკანასკნელს, გაუგებარია რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ეს უკიდურესი ზომა დაწესებულებამ. კოდექსში აღნიშნულია, რომ დაწესებულება ამ უკიდურეს ზომას გამოიყენებს „ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის ნორმების ძალზედ უხეში დარღვევის შემთხვევაში ან მძიმე დარღვევის რეციდივის შემთხვევაში“. ვინაიდან, სტატუსის შეწყვეტა უკიდურესი ზომაა და მისი არამართლზომიერი გამოყენება შეიძლება ავტორიზაციის ჩამორთმევის საფუძველიც გახდეს, მიზანშეწონილად ვთვლით, დაწესებულებამ უფრო კონკრეტული გახადოს აღნიშნული და მიუთითოს კონკრეტულად რომელი დარღვევები შეიძლება გახდეს ასეთი უკიდურესი ზომის მიღების საფუძველი.

სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ადგენს დაწესებულების ადმინისტრაციის, თანამშრომლების და აკადემიური პერსონალის ქცევის ზოგად წესებს. განსაზღვრავს დისციპლინარული წარმოების ჩატარების პრინციპებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამტარებელი ორგანოებს, თანამშრომლის უფლებების დაცვის მექანიზმებს დისციპლინარული წარმოების დროს და დისციპლინარული წარმოების პროცედურას. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ანტიპლაგიატის პროგრამით სარგებლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნული ეთიკის კოდექსები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. უნივერსიტეტის კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის შრომითი შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სტუდენტთა ეთიკის კოდექსი სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ინტერვიუ ადმინსიტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია, დაწესებულებამ სტუდენტთა ეთიკის კოდექსში დააკონკრეტოს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული დისციპლინური გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების

დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი. დოკუმენტში პროცედურები დეტალურადაა აღწერილი, თუმცა პროცესში მონაწილე ერთეულების კომპეტენციები ნათლად გამიჯნული არ არის, ინიცირების ჯგუფისა და სამუშაო ჯგუფის ფუნქციები და მოვალეობები გაწერილი არ არის, მედიცინის სკოლის დებულების მიხედვით კი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, გუნდის მუშაობა დოკუმენტურად არ ჩანს.

როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება წესში განსაზღვრული პრინციპით მოხდა - რექტორის წარდგენით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც იყო წარმოდგენილი, როგორც მენეჯმენტის, ასევე, მედიცინის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის საჭიროება და სიცოცხლისუნარიანობა, შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი, გათვალისწინებული იყო გარე დაინტერესებული მხარის (დამსაქმებლების) პოზიცია და პროგრამის განმახორციელებელი პირების შეხედულებები. პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა ვერ მოხდებოდა, ვინაიდან უნივერსიტეტს ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. ექსპერტებისათვის წარმოდგენილი იყო კითხვარი, რომლითაც იგეგმება, სტუდენტების ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობას უნივერსიტეტში ხსნიან იმით, რომ დამფუძნებლების მფლობელობაში მყოფი და პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებები საჭიროებს სხვადასხვა რგოლისა და პროფილის მენეჯერებს. ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალობის მქონე კადრების მოძიება კი მარტივი არ არის.

მოთხოვნის დოკუმენტირებისა და პროგრამის პირველადი შეფასებისათვის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ბაზრის ანალიზი, რომელშიც უპირატესად უნივერსიტეტის საბაზო კლინიკებისა და პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლები, ასევე სხვა, გარე დამსაქმებლები მონაწილეობდნენ. ამგვარი კვლევის ჩატარების ინიციატივა ერთმნიშვნელოვნად წასახალისებელია. აღსანიშნავია, რომ კითხვარი საკმაოდ ზოგადია, პროგრამის საჭიროება ფასდებოდა ორი კითხვით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სათითაოდ ფასებოდა სამი ალტერნატული პასუხით (მნიშვნელოვანია/ნაკლებად მნიშვნელოვანია/არ მაქვს პასუხი). ბაზრის ანალიზის შედეგები დაემთხვა პროგრამის ავტორების მოლოდინს და პროგრამაში, მის მიზნებში ან

მოსალოდნელ შედეგებში რაიმე კორექტირება საჭიროდ არ ჩაითვალა.

პროგრამის შემუშავების პროცესში ადგილობრივი პრაქტიკა გათვალისწინებულია იმ მხრივ, რომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი გამოცდილია მენეჯმენტის სწავლებაში, შესაბამისად იყენებს საკუთარ გამოცდილებას, თუმცა პროგრამის ანალიზი ანალოგიური შინაარსის სხვა პროგრამებთან მიმართებით არ ჩანს და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებიც ინტერვიუს დროს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტში დაგეგმილი პროგრამის უპირატესობებს ვერ ასახელებენ. პროგრამა გამიზნულია სხვადასხვა პროფილის სტუდენტებისათვის - რაიმე სპეციფიური განათლების ან გამოცდილების არსებობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს. უნივერსიტეტში იცნობენ საერთაშორისო პრაქტიკას, რომ მსგავს შემთხვევებში „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შესაძლებელია, შეთავაზებული იყოს არჩევითი კურსები (მაგალითად, საბაზისო მედიცინის კურსები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის და მენეჯმენტის საბაზისო კურსები მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის). თუმცა ეს მიდგომა აღნიშნული პროგრამის დაგეგმვისას გამოყენებული არ არის და ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ასეთ შემთხვევაში პროგრამით გათვალისწინებული კურსების ათვისებისათვის ორი წელი არასაკმარისი იქნებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფდეს, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის, პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში (4 სემესტრი) მეშვიდე დონის სწავლის შდეგების მიღწევას.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ახალია, შესაბამისად მის განახლებასა და განვითარებაზე მიმართული მუშაობა ვერ შეფასდება. ზოგადად პროგრამების განვითარების კუთხით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესაფასებლად ექსპერტებმა სცადეს, მიეღოთ ინფორმაცია უნივერსიტეტის ავტორიზაციის შემდეგ პროგრამის დახვეწის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ და კონკრეტული მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული.

სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი აღწერს პროგრამის გაუქმების პროცედურას, რომელშიც სტუდენტების ინტერესები დაცულია. პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის უფლება, ისარგებლოს მობილობით, აღნიშნულია სტუდენტის ხელშეკრულებაშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;
- სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბაზრის ანალიზი (კითხვარი, შედეგები, შედეგების ანალიზი);
- მედიცინის სკოლის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესში მონაწილე ერთეულების „ინიცირების ჯგუფი“, „სამუშაო ჯგუფი“ ფუნქციები და მოვალეობები გაიწეროს და გაკეთდეს შესაბამისი სამუშაო აღწერილობები;

მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფდეს, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის, პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში (4 სემესტრი) მეშვიდე დონის სწავლის შდეგების მიღწევას;

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ

შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და ECTS კრედიტების ევროპული სისტემის პრინციპებს. იგი შედგება 15 სავალდებულო (მათ შორის ერთი პროფესიული პრაქტიკა და ერთი სამაგისტრო ნაშრომი) და 8 არჩევითი კურსისგან. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული არ არის.

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად, თუმცა მათი შინაარსი (უპირატესად ცოდნისა და გაცნობიერების, ასევე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით უფრო მეტად შეესაბამება კვალიფიკაციის მე-6 (და არა მე-7) დონეს. შედეგებში არ არის გამოკვეთილი კომპლექსური და არაპროგნოზირებადი გარემოს მულტიდისციპლინური მიდგომით მართვის ან ინოვაციების განვითარებისათვის საფუძვლის შექმნის ელემენტები.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული კურსების სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგები უმეტეს შემთხვევებში უფრო სრულფასოვნად შეესაბამება კვალიფიკაციის მე-7 დონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვიდრე პროგრამის აღწერილობაში მოცემული შედეგები (მაგალითად, ჯანდაცვის სტრატეგიული მენეჯმენტი, პროექტების მართვა). თუმცა საყურადღებოა, რომ ზოგიერთ სილაბუსში ჩამოთვლილი სწავლის შედეგების რაოდენობა დიდია (მაგალითად, ჯანდაცვის სტრატეგიული მენეჯმენტი (10 შედეგი), ჯანდაცვის ეკონომიკა (11 შედეგი), პროფილაქტიკური მედიცინა (10 შედეგი), ბიოსამედიცინო სტატისტიკა (13 შედეგი), საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი (10 შედეგი), კვლევის მეთოდები (10 შედეგი)), რაც ქმნის საფრთხეს, რომ თითოეული შედეგის გაზომვა კურსის დასრულებისას შესაძლებელია, შეუძლებელი იყოს.

აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული კომპეტენციების დიდი ნაწილის ათვისებას, მაგრამ სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით ვერ დასტურდება შემდეგი კომპტენციების საჭირო დონეზე განვითარება: ლიდერობა, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, მენეჯერული კვლევის მეთოდები.

ლიდერობა შეისწავლება როგორც ერთ-ერთი საკითხი ადამიანური რესურსების მართვის კურსში, თუმცა ეს ვერ უზრუნველყოფს ლიდერული უნარების ჩამოყალიბებას. ამაზე ორიენტირებული კონკრეტული პრაქტიკული დავალებები კურსებში აღწერილი არ არის.

მარკეტინგის მენეჯმენტი არჩევითი საგანია, რაც ვერ უზრუნველყოფს არა-მენეჯერული საბაკალავრო განათლების მქონე პირებისათვის მარკეტინგის პრინციპების გაცნობას. ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდების ცოდნა ერთ-ერთია პროგრამის შედეგებში, თუმცა კურსი, რომელიც კვლევის მეთოდებს შეასწავლის ორიენტირებულია ბიოსამედიცინო კვლევის მეთოდების შესწავლაზე და არა ბიზნეს კვლევის მეთოდებზე.

პროგრამის შემადგენელი კურსების განგრძობითობა და შინაარსობრივი ბმა კარგად გამოკვეთილი არ არის, თუმცა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყველა კურსის თემატიკა და სილაბუსის შინაარსი რელევანტურია სასწავლო პროგრამის ჭრილში. აღსანიშნავია, რომ კურსების უმეტესობა გარკვეული მასშტაბით მოიცავს და ითვალისწინებს ჯანდაცვის სპეციფიკას. საერთო ჯამში მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული პროპორცია - მინიმუმ 50% მენეჯმენტის სფეროდან დაცულია და ამასთანავე უზრუნველყოფილია გამოყენების სფეროს სპეციფიური ცოდნის ათვისება. პროგრამას წაადგებოდა, თუ ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკა გათვალისწინებული იქნებოდა ადამიანური რესურსების მართვის კურსის სილაბუსშიც.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გაწერილია დეტალურად და სქემა კომპლექსურია და ამ სქემაზე დაყრდნობით პროგრამის ეფექტურობის განსაზღვრა რთული იქნება. პროგრამის ყველა კურსი კავშირშია ყველა შედეგთან, რაც გაუგებარია - მაგალითად როგორ უზრუნველყოფს ჯანდაცვის მარკეტინგის ან პროფესიული წერის კურსები ჯანდაცვის და სამედიცინო პროფილის ორგანიზაციების სტრუქტურის, სტრატეგიული და ოპერაციული მართვის მეთოდების, დაფინანსების არსისა და მოდელების ცოდნას. ასევე, ასეთი ხედვა სავარაუდოდ გაართულებს პროგრამის შეფასებას, რადგან ერთეული შედეგის მიუღწეველობის მიზეზი შესაძლებელია ნებისმიერი კურსის წარუმატებლობად იქნას განხილული, ზუსტი მიზეზის მიკვლევა და აღმოფხვრა რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლის შედეგების რუქის მიხედვით ზოგიერთი არჩევითი კურსი მაღალი ხარისხით განაპირობებს ზოგიერთი სწავლის შედეგზე გასვლას (მაგ. ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები, მართული ჯანდაცვა), დასაფიქრებელია, ხომ არ შეექმნებათ სირთულე იმ სტუდენტებს, რომლებიც ამ კურსებს არ აირჩევენ.

პროგრამის დაგეგმვისას სათანადოდ არ არის შეფასებული სხვადასხვა საბაკალავრო განათლების მქონე სტუდენტების პროგრამაზე დაშვების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს ქმნის საფრთხეს, რომ ზოგიერთი კურსი კონკრეტული სტუდენტისათვის

ახალი კომპეტენციის მიღებას ვერ უზრუნველყოფს, სხვისთვის კი დაუძლეველი შეიძლება იყოს. აღნიშნულის დარეგულირებას პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ინდივიდუალური მიდგომით აპირებენ.

ჯანდაცვის სამართლებრივი ასპექტების კურსის თემატიკაში საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლებს მცირე ადგილი უკავია, სასწავლო ლიტერატურაში კი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ფიგურირებს.

პროგრამის კომპონენტების მოცულობა და შესაბამისად კრედიტების განაწილება მეტწილად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და პროგრამის შინაარსს. თუმცა, ამ ტენდენციიდან ამოვარდნილია კვლევის მეთოდებისა (რომელიც ბიოსამედიცინო კვლევას მოიცავს) და ბიოსამედიცინო სტატისტიკის უფრო მეტი მოცულობით სწავლება, ვიდრე ჯანდაცვის ფინანსური მენეჯმენტის, პროექტების მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის.

პროგრამაში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები მოიცავს ლექციასა და ჯგუფურ მუშაობას. არსებული ჩანაწერის მიხედვით, „სამუშაო ჯგუფში მუშაობა შეიძლება განხორციელდებს სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ძირითადი მეთოდები და ფორმები მოყვანილია ქვემოთ: სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, დისკუსია/დებატები, დამოუკიდებელი სწავლა, ელექტრონული სწავლა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა“. რომელ კურსებში რა ფორმითა და რა მასშტაბით იგეგმება თითოეული ამ მეთოდის გამოყენება, ან რა არის სხვა არაძირითადი მეთოდები, დეტალურად განსაზღვრული არ არის. ასეთი დეტალები არც სილაბუსშია მოცემული და სწავლისა და სწავლების მეთოდები სილაბუსებშიც მოცემულია მხოლოდ ჩამონათვალის სახით. პროგრამის აღწერილობით ნაწილში ჩამოთვლილი სწავლების მეთოდების დეტალური დახასიათებები გარკვეულწილად გადამფარავია (მაგალითად, სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა, ასევე სემინარი და დისკუსია/დებატები). ამდენად რთულია იმის შეფასება, რამდენად ითვალისწინებს სწავლების მეთოდები კურსის სპეციფიკას.

პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც პროგრამას საინტერესოს და განსხვავებულს ხდის. კურსის სილაბუსში არის გარკვეული ბუნდოვანება (მაგალითად, მესამე კვირაში სტუდენტი სწავლობს სააფთიაქო ქსელის მუშაობის სპეციფიკას და ამასთანავე გადის პრაქტიკას კლინიკაში, სადაც შეისწავლის დაწესებულების ორგანიზაციას (დებულებას) და სტრუქტურას (ფუნქციურ განაწილებას). კონკრეტულად რა ტიპის პრაქტიკას გადის სტუდენტი განსაზღვრული არ არის,

სილაბუსშივე მითითებულია, რომ კურსის წარმმართველი პედაგოგი ყველა კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდუალურად ზუსტდება. აღნიშნული კურსის განხორციელებადობის სარწმუნო დასტური მოპოვებული ვერ იქნა, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები თანახმა არიან, მიიღონ სტუდენტები პრაქტიკაზე, კეთილგანწყობით უდგებიან უნივერსიტეტის მსგავს ინიციატივას, თუმცა ამ კურსის არსებობისა და მისი დეტალების შესახებ ინფორმირებულები არ არიან. კურსი დაგეგმილია სწავლების მესამე სემესტრში და როგორც ჩანს, უნივერსიტეტი დეტალების დაგეგმვას და შეთანხმებას სტუდენტების მიღების შემდეგ აპირებს.

აღსანიშნავია, რომ კურსების დასახელებები სხვადასხვა დოკუმენტებში, ზოგჯერ კი ერთი და იმავე დოკუმენტის ფარგლებშიც მცირედ მოდიფიცირებულია, ასეთია, მაგალითად საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია და ეპიდემიის მენეჯმენტი - ეს ორი დასახელება დამაბნეველია, შინაარსობრივად იდენტური არ არის.

პროფესიული წერის სასწავლო კურსში არ არის გათვალისწინებული პლაგიატის ფორმების შესწავლა და განხილვა.

სილაბუსების ნაწილში საჭიროა სასწავლო ლიტერატურის განახლება - მაგალითად, 1992 წლის ლიტერატურა პროფილაქტიკური მედიცინის სილაბუსში, 2003 წლის ლიტერატურა ოპერაციული მენეჯმენტის სილაბუსში.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია განსაკუთრებული საჭიროებების სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის შეფასების მექანიზმები;

სილაბუსები;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის შესახებ;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები განათლების მეშვიდე საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შედეგებში გამოკვეთოს კომპლექსური და არაპროგნოზირებადი გარემოს მულტიდისციპლინური მიდგომით მართვის და ინოვაციების განვითარებისათვის საფუძვლის შექმნის ელემენტები;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, რათა მათი გაზომვადობა მეტად უზრუნველყოფილი იყოს;
- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს ლიდერობის, მარკეტინგის მენეჯმენტის, მენეჯერული კვლევის მეთოდების სასწავლო კურსების სწავლება;
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სწავლის შედგების შეფასების რუკა ისე, რომ ნათელი იყოს კონკრეტული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან;
- მიზანშეწონილია სწავლების ფორმები და მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სასურველია გადაიხედოს პროგრამაში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსი და ნათლად ჩამოყალიბდეს მასში თუ კონკრეტულად რა ტიპის პრაქტიკას გადის სტუდენტი.

რჩევები:

- სასურველია ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება ადამიანური რესურსების მართვის კურსის სილაბუსში;
- სასურველია გადაიხედოს ჯანდაცვის სამართლებრივი ასპექტების სასწავლო კურსის თემატიკა;
- სასურველია პროფესიული წერის სასწავლო კურსში გათვალისწინებული იქნას პლაგიატის ფორმების შესწავლა და განხილვა;
- სასურველია გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, მაგალითად, 1992 წლის ლიტერატურა პროფილაქტიკური მედიცინის სილაბუსში, 2003 წლის ლიტერატურა ოპერაციული მენეჯმენტის სილაბუსში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასების სისტემა მოიცავს მრავალფეროვან მეთოდებს, დაგეგმილია სტუდენტების შეფასება ქვიზებით, შუალედური გამოცდით, მინი პროექტით (ან პრეზენტაციით) და დასკვნითი გამოცდით. გამოკითხვის ფორმატი მოიცავს ტესტებს, ღია კითხვებს და ქეისებს. სხვადასხვა სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები ერთგვაროვანია და თითოეულ კომპონენტზე განსაზღვრული ქულების განაწილებაც უმეტეს შემთხვევებში

ერთნაირია. მინი-პროექტი და პრეზენტაცია ერთმანეთის ალტერნატივას წარმოადგენს. მინი-პროექტებით შეფასება გათვალისწინებულია 11 სავალდებულო კურსში, პრეზენტაციით შეფასება კი 2 სავალდებულო და ყველა (8) არჩევით კურსში. სწავლის შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარების შეფასებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ეს ორი მეთოდი, მაგრამ სილაბუსებში მითითებული არ არის კონკრეტულად როდის, რა თემატიკაზე ან რა სპეციფიკით წარიმართება ეს აქტივობები.

შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი, შეფასების მეთოდების დიდი ნაწილი უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას, ნაწილი კი ორიენტირებულია შემოქმედებითი უნარებისა და ავტონომიური მუშაობის შეფასებაზე (პრეზენტაცია, მინი-პროექტი), რაც შესაძლებელია, გარკვეულ სუბიექტურობას გულისხმობდეს, თუმცა მათი შეფასების კრიტერიუმები ზედმიწევნით ზუსტადაა ჩამოყალიბებული, რაც მინიმუმამდე ამცირებს უთანასწორო მიდგომის შესაძლებლობას. შეფასების სისტემის თავისებურებები და რეგულაციები სრულყოფილად არის აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, საკუთრივ პროგრამასა და სილაბუსებში.

სტუდენტისათვის მისი შედეგების შესახებ უკუკავშირის მიწოდების სქემა ბუნდოვანია. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში ამბობენ, რომ სტუდენტების წერითი ნაშრომები სწორდება ანონიმურად, ამის შემდეგ სტუდენტებისათვის საჭირო უკუკავშირის მიწოდების სქემაზე ინფორმაცია ვერ იქნა მიღებული. აკადემიური პერსონალი აცხადებს, რომ სტუდენტების საჭიროებები მათ მიერვე ინდივიდუალურად იქნება მოგვარებული.

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ნებისმიერი ტიპის (აკადემიური და ადმინისტრაციული) საჩივარი სტუდენტის მხრიდან პირველადად ფიქსირდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, რომელიც აკადემიური შინაარსის საჩივრებს გადაამისამართებს შესაბამის სკოლაში. მოწოდებული დოკუმენტებით ვერ ირკვევა, თუ კონკრეტულად როგორ რეაგირებს სკოლა აპელაციაზე, მედიცინის სკოლის დებულებაში მსგავსი ჩანაწერი არ არის. სასწავლო პროცესის მართვის წესში კი არის ჩანაწერი, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების გასაჩივრების შემთხვევებს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია. ამ ინფორმაციის მოძიება დოკუმენტებში სტუდენტებისათვის მარტივი არ უნდა იყოს, თუმცა სასწავლო პროცესის მართვის სამსახური იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა. აღნიშნულის შესახებ კონკრეტული ჩანაწერი სამსახურის დებულებაში არ არის, თუმცა ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია სტუდენტის მომსახურება, რომელიც, როგორც ჩანს,

ყველა ტიპის მომსახურებას მოიცავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება; მედიცინის სკოლის დებულება; უნივერსიტეტის შინაგანაწესი; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: შეფასების მეთოდები სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე აკადემიური თავისუფლების პრინციპების სრული დაცვით; დეტალურად გაიწეროს პრეზენტაციებისა და მინი პროექტების თემატიკა, ფორმატი და შესრულების პერიოდები; სტუდენტებისათვის შეფასებასთან და სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით უკუკავშირი იყოს ფორმალიზებული, ცნობილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო,

კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აკადემიური მართვის სახელმძღვანელო“, რომელიც მოიცავს მართვის სტრატეგიას, სახელმძღვანელო პრინციპებს და პერსონალის მართვის პოლიტიკას. დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს - ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის, კადრების მოზიდვის, სოციალიზაციის, თანამდებობების ბენჩმარკინგის, მართვის ელექტრუნული სისტემის დანერგვის მიმართულებებით. ინსტიტუციაში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, რომელიც ვალდებულია კანცლერის წინაშე. აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის აყვანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად. თუმცა საკონკურსო პირობები მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, წესი ითვალისწინებს კონკურსანტის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ქულობრივ შეფასებას, თუ ქულები თანაბარი აღმოჩნდება რამდენიმე კონკურსანტის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ლექციის ჩატარება. ლექციის შეფასებაც გათვალისწინებულია ქულობრივი სისტემით, თუმცა ამ შემთხვევაში დასაკონკრეტებელია შეფასების კრიტერიუმები. ამის შემდეგ, გათვალისწინებულია გასაუბრების ჩატარება. გასაუბრებაზე ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება. აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრებისას ვერ აღწერა, როგორ იქნა გამოყენებული აღნიშნული პროცედურა, მათ მიერ კონკურსის გავლისას, ხოლო ადმინისტრაციამ დაგვიდასტურა აღნიშნული პროცედურის დახვეწის აუცილებლობა. კონკურსის შედეგები ცხადდება უნივერსიტეტის ვებ-ვერდზე, ამასთან, მითითებულია კონკურსანტის პირადი ნომერიც, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებისას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია წერილობითი თანხმობის ქონა აპლიკანტების მხრიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „აკადემიური თანამდებობების

დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი“ არ ითვალისწინებს შედეგების ამ ფორმით გამოცხადებას. წესის #14 მუხლი ითვალისწინებს - აფილირებას, აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება - მოვალეობებს. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს „შეთანხმება - აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ“. აფილირებული პერსონალისათვის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს წახალისების მექანიზმები, მათ შორის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებიც. აფილირების მოქმედი ხელშეკრულების #2.3. პუნქტის თანახმად, აფილირებული პირი არ არის უფლებამოსილი დაიკავოს აკადემიური თანამდებობა ან/და მოწვეული სპეციალისტის/ლექტორის პოზიცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე, #2.4. აფილირებული პირი არ არის უფლებამოსილი დაიკავოს მუდმივად ადმინისტრაციული თანამდებობა უნივერსიტეტში. რეალურად კი უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, ასევე დასაქმებულია სხვა უნივერსიტეტებშიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი მოქმედ ხელშეკრულებებში გასწორდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: უნივერსიტეტის სტრუქტურა; უნივერსიტეტის აკადემიური მართვის სახელმძღვანელო; შრომითი ხელშეკრულებები; ინტერვიუები.
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია მოხდეს კონკურსის ჩატარების წესის სრულყოფა და პროცედურების ნათლად გაწერა; კონკურსის შდეგების გასაჯაროებისას დაწესებულებამ დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის #7 დანართი განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახეებს, პირობებს და ოდენობას. აკადემიური პერსონალის დატვირთვა სავალდებულოა მოიცავდეს: სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას. შესაბამისად განსაზღვრულია პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის დატვირთვები. აღნიშნული დატვირთვები ითვალისწინებს კვირაში მინიმუმ ორი საათის მოცულობით კონსულტაციებს, რაც მისაღები კონტინგეტის გათვალისწინებით ამ ეტაპზე საკმარისია. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაარკვია, როგორ მოხდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საათობრივი შეფასება (პროფესორისათვის - არანაკლებ 480 საათი), ისევე როგორც საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის განსაზღვრული საათების (პროფესორისთვის - არანაკლებ 200 საათი).

„ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალით. ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის შესწავლისას, ასევე პერსონალის CV-ების ანალიზისას და მათთან გასაუბრების შედეგად, დაადგინა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მხოლოდ სამი პირი არის ინსტიტუციასთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, დანარჩენი არის მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამაში 5 სავალდებულო სასწავლო კურსს ასწავლის ერთი და იგივე პერსონალის წევრი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არის კვალიფიციური, მაგრამ მათი უმრავლესობა დასაქმებული არიან სხვა

ორგანიზაციებში და უნივერსიტეტებში. შესაბამისად, ჩნდება პროგრამის მდგრადობის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტს შესამუშავებელი აქვს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში, მათ შორის წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

პერსონალის ხელშეკრულებები;
ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
აკადემიური პერსონალის აფილირების და დატვირთვის წესი;
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია;
ინტერვიუ პერსონალის დეპარტამენტთან, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
დაწესებულების ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

საგანამანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, აკადემიური კონკურსის გამოცხადება და კონტინგენტის გაზრდა;

სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში, მათ შორის წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაზე გამოყოფილი საათები უნდა გაიწეროს კონკრეტული აქტივობების მიხედვით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის ან კვალიფიკაციის აღიარების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელია ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება და სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ან გარე კონტრაქტორის მიერ ჩატარებული გამოცდით. აღნიშნულ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოცდის ფორმატისა და მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის. ხელშეკრულება წარმოდგენილი იყო მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტის სახით, ხელმოწერებისა და ბეჭდების გარეშე. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობას არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ სფეროში ბაკალავრის ხარისხის ქონა, თუმცა უპირატესობა ენიჭებათ მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამისა და მენეჯმენტის მიმართულებით საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამომავლოდ არ გამორიცხავენ შიდა გამოცდის დამატებას, შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებშიც არის ჩანაწერები შიდა გამოცდის შესახებ, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი გამოცდის ჩატარება არ იგეგმება.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წარმოადგენს ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის გათვალისწინებულ უკიდურეს სანქციას. თუმცა, კონკრეტულად რა ტიპის დარღვევისთვის

ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, დაკონკრეტებული არ არის.

სტუდენტის ხელშეკრულება შედგენილია სტუდენტის უფლებების სრული დაცვით.

როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, სტუდენტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ საჩივრებზე რეაგირება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პრეროგატივაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;

სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში;

საერთაშორისო სახლთან (International house) დადებული ხელშეკრულება;

ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია უცხო ენის ცოდნის მოთხოვნები და გამოცდის ფორმატი იყოს გამჭვირვალე, ცხადი და დეტალურად ცნობილი პოტენციური სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს

უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტთა მხარდამჭერ სერვისებზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. მათი პრეროგატივაა როგორც აკადემიური, ასევე კარიერული, ადმინისტრაციული, სოციალური, სპორტული და კულტურული შინაარსის კონსულტაციები. სამსახურის ფუნქციების ჩამონათვალი დებულების მიხედვით 24 პუნქტისაგან შედგება და მათ შორისაა სტუდენტებისა და პერსონალის ელექტრონული ბაზების წარმოება, დიპლომების მომზადება და გაცემა, სასწავლო პროცესისა და გამოცდების დაგეგმვა და მართვა, განსაკუთრებული საჭიროებების განსაზღვრა და გარემოს შესაბამისი ადაპტაცია და უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პოლიტიკის შემუშავებაც კი. რთული წარმოსადგენია, რამდენად შეძლებს მცირე სამსახური ამ მასშტაბური მოვალეობების შესრულებას. თუმცა, უნივერსიტეტში განმარტავენ, რომ სტუდენტების მიღების შემდეგ იგეგმება თანამშრომლების რაოდენობის ზრდა.

კარიერული სერვისების განვითარებაზე უნივერსიტეტში არსებობს კონკრეტული ხედვა, რომელიც მოწოდებულია არა ოფიციალური დოკუმენტის, არამედ აღწერილობითი ტექსტის სახით (კარიერული სერვისი). აღნიშნული ხედვა გულისხმობს კარიერული ცენტრების შექმნას, პრაქტიკული უნარ-ჩვევევების, თვითპრეზენტაციის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების/ტრენინგებისა, პრაქტიკების, სტაჟირებები,ს შეთავაზებას, დამსაქმებლებთან ურთიერთობას სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მოწყვლადი ჯგუფების სტუდენტებისა დასაქმების ხელშეწყობას, საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმების ხელშეწყობას. კარიერული სერვისების განვითარებაზე მიმართული აქტივობები გათვალისწინებულია სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში, გამოყოფილია შესაბამისი ბიუჯეტი. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში კარიერული მხარდაჭერის სამსახური არ არსებობს, ასეთი მრავალფეროვანი სერვისების ამუშავება იგეგმება სტუდენტების მიღების შემდეგ.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებს უნივერსიტეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ. ხაზარის უნივერსიტეტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სტუდენტთა გაცვლითი პროექტებიც თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმად განიხილება. სხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იყო,

უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ არსებობს სიტყვიერი შეთანხმებები და ყველაფრის რეალიზება სტუდენტების მიღების შემდეგ იგეგმება. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდასაჭერად უნივერსიტეტში არსებობს შიდა გრანტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; კარიერული სერვისი; ხაზარის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია შეიქმნას სამსახურები, რომლებიც პასუხიმგებელი იქნებიან სტუდენტურ სერვისებზე
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი თავისი სტატუსიდან გამომდინარე, დიდ აქცენტს არ აკეთებს კვლევით საქმიანობაზე. შესაბამისად, მისიაში, ხედვაში და მიზანში კვლევითი საქმიანობა ნახსენები არ არის. დაწესებულებას არა აქვს გამოკვეთილი კვლევითი პრიორიტეტები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება აპირებს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებას როგორც მენეჯმენტის ასევე სამედიცინო მიმართულებით. თუმცა დოკუმენტური მტკიცებულება ამის თაობაზე ვერ იქნა მოპოვებული.

კვლევითი საქმიანობა სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებში ცალკე არ არის გამოყოფილი, თუმცა მასზე საუბარია სტრატეგიულ მიზანი N4 „ინტენაციონალიზაციის განვითარება“, სადაც კველვითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, კვლევების ხელშეწყობა და განვითარება და კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია, დასახელებულია სტრატეგიულ ამოცანებად. სამწლიანი სამოქმედო გეგმით ამ მიზნით უნივერსიტეტი 2019-2021 წლებში გეგმავს დახარჯოს 237 196 ლარი. მათ შორის, კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე 85 000 ლარი და კვლევების ხელშეწყობასა და განვითარებაზე 152 196 ლარი. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი ამ მიზნით გეგმავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის წახალისებისა და საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების სისტემის განვითარება, კვლევითი ცენტრების და პროექტების განვითარება, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალისტების ჩართვა.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ გარდა შიდა გრანტებისა (20 000 ლარი), თითეულ აფილირებულ პროფესორზე, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორზე კვლევების წახალისების მიზნით გამოყოფილი იქნება შესაბამისად 3000, 2000 და 1500 ლარი, რაც ძირითადად მოხმარდება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას და სამეცნიერო პუბლიკაციების განხორციელებაში მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ადსუ-ს მისია და ხედვა;

ადსუ-სსტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;

ადსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია დაწესებულებამ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოახდინოს

კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია კვლევის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის თანახმად „საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო სახელმწიფო პრიორიტეტების, კვლევების განვითარების თანამედროვე ტენდენციების და მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით“. დაწესებულება გეგმავს შექმნას კვლევების საუნივერსიტეტო მხარდაჭერისათვის სტრუქტურული ერთეული, რომლის მოვალეობა იქნება კვლევების ეფექტიანობის შეფასება, საგრანტო სისტემის გამართვა, პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და კვლევების ინფორმაციული უზრუნველყოფა. მიმდინარე ეტაპზე ამ ფუნქციის შესრულება ევალება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურს და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამუშაო ჯგუფს. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მეოთხე სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის განვითარება. კვლევითი საქმიანობის ინეტერნაციონალიზაციის მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 85 000 ლარის სამი წლის მანძილზე დახარჯვა. შესაბამისად -2019-10 000, 2020 -30 000 და 2021 -45 000.

დაწესებულების ამბიციებიდან გამომდინარე (ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევები, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება უნივერსიტეტის ჩართულობით, კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა. კვლევითი ერთეულის (ლაბორატორია, ინსტიტუტი, დეპარტამენტი, ცენტრი და ა. შ.) შექმნა), ბიუჯეტი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა • სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი • კვლევის განვითარების სტრატეგია • ინტერვიუ ადმინსიტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმით და კვლევის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ადეკვატური ხარჯების გაწერა ბიუჯეტში
რჩევები: სასურველია შეიქმნას კვლევების მხარდამჭერი დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურა
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კვლვის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში დეტალურად არ არის გაწერილი სამეცნიერო-კვევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და სისტემა. დოკუმენტში

აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალის მუშაობა კომპლექსურად შეფასდება აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. შეფასების ინდიკატორებად სახელდება: სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში, საუნივერსიტეტო კვლევით პროექტებში და საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, ლექციების კურსები, ციტირებათა ინდექსი. თუმცა, დოკუმენტში არ ჩანს თითეული ამ აქტივობის შეფასების კრიტერიუმი, ხვედრითი წონა საერთო შეფასებაში და ასევე წახალისების ფორმები განსაკუთრებული მიღწევების შემთხვევაში. სამეცნიერო-კვევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და სისტემა არ არის გაწერილი არც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კვლევის განვითარების სტრატეგია; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; ინტერვიუ ადმინსიტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები და სისტემა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლო უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ფართი. სასწავლო აუდიტორიები, სადაც დაგეგმილია პროგრამის განხორციელება აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, აუდიტორიებს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. უნივერსიტეტს არ აქვს სარეკრეაციო სივრცეები სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტს აქვს სულ 23 კომპიუტერი. ექსპერტთა ვიზიტისას იმ კომპიუტერულ კლასში, სადაც უნდა ჩატარდეს მეცადინეობები, განთავსებული იყო 12 კომპიუტერი. ვინაიდან, დაგეგმილი 16 სტუდენტის მიღება პროგრამაზე, აღნიშნული კომპიუტერული კლასი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მეცადინეობების ჩატარებას და სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებას. სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია და მუდმივად მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით. შენობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. პერსონალისა და სტუდენტებისათვის დაცულია უსაფრთხოების ნორმები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულების მხრიდან უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის საკითხები გაუმჯობესებას საჭიროებს. შენობაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვი ლიფტი და სანიტარული კვანძები, თუმცა ჩვენი ვიზიტისას ლიფტი არ იყო მუშა მდგომარეობაში. უნივერსიტეტის მხრიდან ეს საკითხიც საჭიროებს გაუმჯობესებას სსსმ პირებისათვის სრული საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ვიზუალური დათვალიერება; ადსუ-ს ბიუჯეტი; სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით;

ინტერვიუ საფინანსო და მატერიალური რესურსების სამსახურთან

რეკომენდაციები:

მიზანშეწონლია მატერიალური რესურსის გაუმჯობესება. კერძოდ, ვინაიდან, ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამით ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა ოპერაციული მენეჯმენტი, პროექტების მართვა, რომელთა სწავლება საჭიროებს კომპიუტერულ უზრუნველყოფას, შესაბამისად, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს კომპიუტერული კლასი, მინიმუმ, 17 კომპიუტერით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს საკითხველო დარბაზს, პერსონალის სამუშაო სივრცეს და ჯგუფური მუშაობის სივრცეს. უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია. ბიბლიოთეკაში არის 5 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

ადსუ ორიენტირებულია ელექტრონული სახელმძღვანელოების და ონ-ლაინ რესურსების გამოყენებაზე. წიგნადი ფონდი მწირია და პრაქტიკულად არ არის პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელო ბეჭდური სახით. რაც შეეხება ონ-ლაინ რესურსების გამოყენების შესაძლებლობას, უნივერსიტეტს აქვს წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. თუმცა სტუდენტების მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობები, არასაკმარისი კომპიუტერების გამო შეზღუდული იქნება.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი (სისტემა OpenBiblio), თუმცა მასში არ იძებნება ელექტრონული სახელმძღვანელოები. ელექტრონული ბიბლიოთეკით

სარგებლობა კი შესაძლებელია უნივერსიტეტის სისტემაში ჩართული კომპიუტერებიდან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, რომლებიც ელექტრონული სახით იყო. „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს საბიბლიოთეკო რესურსები და გაზარდოს სტუდენტებისათვის მათი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ვიზუალური დათვალიერება; ადსუ-ს ბიუჯეტი; სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით; ინტერვიუ საფინანსო და მატერიალური რესურსების სამსახურთან
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია დაწესებულებამ ელექტრონული რესურსების გარდა შეიძინოს ბეჭდური ლიტერატურა და ასევე გაზარდოს კომპიუტერული, ასლგადამღები, საბეჭდი და სხვა ტექნიკური საშუალებებით ბიბლიოთეკის აღჭურვა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი სასწავლო პროცესის მართვის პორტალი, რომლის გამოყენებიტაც სტუდენტი შეძლებს აკადემიურ რეგისტრაციას, საგნების არჩევას და მისი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღებას. პორტალი საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებას ხელმძღვანელობს კვალიფიციური და კომპეტენტური პიროვნება.

სამწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მართვაში ელექტრონული სისტემების დანერგვასა და განვითარებას. თუმცა, ამ მიზნით საკმაოდ მოკრძალებული ბიუჯეტია გათვალისწინებული 12 500 ლარი სამი წლის განმავლობაში.

სასწავლო უნივერსიტეტი ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

უნივერსიტეტის ვებგვერდი;
მართვის ელექტრონული სისტემა;
ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია ცალკე ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, გაწერლია პროგრამის განხორცილებით მისაღები შემოსავლები და ხარჯები. პროგრამაზე იგეგმება 16 სტუდენტი მიღება, რომელთა სწვალი გადასახადის აკუმულაციით მიიღება 76 800 ლარის შემოსავალი. პროგრამის განმახორციელებელთა წლიური ხელფასის ხარჯი შეადგენს 33 750 ლარს. ცხადია ამას უნდა დაემატოს ზედნადები ხარჯები, რომელიც არ არის დეტალურად გაშიფრული, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, უზარალობის წერტილისათვის აუილებელი სტუდენტების რაოდენობა არის 10 სტუდენტი. ამასთან, თუ პროგრამაზე 10 სტუდენტზე ნაკლები ჩაირიცხა მაშინ აუცილებელი ხარჯების დაფარვა მოხდება უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ადსუ-ს ბიუჯეტი;

სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით;

ინტერვიუ საფინანსო და მატერიალური რესურსების სამსახურთან

რეკომენდაციები

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის ბიუჯეტი რომელშიც გაწერილი იქნება: ერთი მხრივ შემოსავლები და მეორე მხრივ კი სალექციო საათების ანაზღაურება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ანაზღაურება, ადმინისტრაციის, სწავლების პროცესში სტუდენტების

მატერიალური მხარდაჭერის, პროგრამის განვითარების, აკრედიტაციის, ინეტრნაციონალიზაციის და ა.შ. გაუთვალისწინებელი ხარჯები.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან